

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2010 წლის 16 აპრილის

№ 225 დადგენილება

2009-2010 სასწავლო წლის მარტის, აპრილის,  
მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში  
სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებული  
სტუდენტებისათვის პრეზიდენტის  
სტიპენდიანტთა შერჩევის წესის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 მარტის N151 ბრძანებით სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისათვის 2010 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებისათვის გამოყოფილი 170 პრეზიდენტის სტიპენდია გადანაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან (დანართი 1 ), 2009 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით (დანართი 2);
2. პრეზიდენტის სტიპენდია დაინიშნოს 2009-2010 სასწავლო წლის ზამთრის სესიების შედეგების მიხედვით;
3. პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შესარჩევად ფაკულტეტებზე, დეკანის ბრძანებით, შეიქმნას საკონკურსო კომისიები, რომლებიც იხელმძღვანელებენ შემდეგით:
  - პრეზიდენტის სტიპენდია დაინიშნება ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 91% და მეტს;
  - პრეზიდენტის სტიპენდიის დაინიშნისას, ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი რეიტინგის დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვ. ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
4. თუ რომელიმე ფაკულტეტზე ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა საკმარისი რეიტინგის მქონე სხვა ფაკულტეტის

კონკურსში ვერ გასულ სტუდენტებს;

5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდება და გამოიცემა რექტორის ბრძანება პრეზიდენტის სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე